

ზოგი ტიპის ქართული გვარის რუსული დაწერილობისათვის

ქართული გვარების უმეტესობა რუსულში სწორად გადმოიცემა, მაგრამ გვართა ცალკეული ჯგუფები რუსულში მცდარი დაწერილობით არის დამკვიდრებული. ზოგჯერ კი ერთი და იგივე გვარი ორი ან მეტი ფორმით (მართებულით და მცდარით) გვხვდება.

ამას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება ქართველმა მეცნიერებმა (სხვათა შორის, რუსი ენათმეცნიერებიც იჩენენ დაინტერესებას ამ საკითხით).

ჯერ კიდევ 1950 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში¹ დაიბეჭდა პროფ. სერგი დანელიას წერილი, რომელიც ეხება ია-სა და აია-ზე დაბოლოებული ქართული გვარების რუსულ დაწერილობას. მასში იგი რეკომენდაციას უწევს დანელია, Гогна, Ломана, Читана... სახეობებს, რაც საეცებით გასაზიარებელია დღესაც.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქციამ და რეკომენდაცია მისცა მათ². კრებული ს რედაქცია დამატებით აღნიშნავდა შემდეგს: „ეს წესი უნდა გავრცელდეს იმ გვარებზედაც, რომლებიც ია-ზე არ ბოლოვდებიან, მაგრამ რომელთა ფუძეშიც ია ჯგუფი გვხვდება... გვექნება Моннава, Конава და არა Монява, Коява, Гогява ან Мониява, Конява, Гогиява“³.

ეს წესი ძირითადად მოქმედებს ყოველ შემთხვევაში, საქართველოში რუსულად გამოცემულ სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში, ეურნალ-გაზეთებში უპირატესობა ეძლევა ია დაბოლოებას. ცოტა უფრო უჭირს გზის გაკვლევა აია ჯგუფს (Басилаиа, Читана...)- მაგრამ ეს წესი არსებობს და დროთა ვითარებაში ესეც უნდა დამკვიდრდეს.

¹ Известия АН СССР, ОЛЯ, IX, вып. 5, 1950 წ., გვ. 402—405.

² იხ. ქსკს, წიგნი 1, თბ., 1972, გვ. 257.

³ იქვე, გვ. 258. ზღრ.: М. П. Ч х а н д з е. Как правильно писать по-русски грузинские фамилии на „ია“. РЯГШ, ТС., 1984, № 3, გვ. 130—136.

ქურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ (1983 წ. № 11) გამოქვეყნდა შ. აფრიდონიძის წერილი, რომელიც ეხება კვლავ ია-სა და აია-ზე დაბოლოებული გვარების (თოფურია, შენგელია... ლომია, პატარაია...) რუსული ტრანსკრიფციის საკითხს. წერილის ავტორიც არსებითად მხარს უჭერს პროფ. ს. დანელიას და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქციას და მათ დებულებებს განამტკიცებს ახალი მასალებით.

შ. აფრიდონიძე ეხება ქართული გვარების რუსულად გადმოცემის ზოგ სხვა საკითხსაც. მას მიაჩნია და სწორადაც, რომ:

1. ავა-სა და ვა-ზე დაბოლოებული ქართული გვარები რუსულში არ უნდა იბრუნვოდეს. რუსა ენათმეცნიერები საპირისპირო თვალსაზრისზე დგანან და მოითხოვენ, რომ ასეთი ქართული გვარები ბრუნების თვალსაზრისით გაუთანაბრდეს ა-ზე დაბოლოებულ რუსულ სახელებს: Чикобавы, Чикобаве, Чикобавой და ა. შ.⁴

2) ქართული ია-თი დაწყებული გვარები ყველა შემთხვევაში უნდა გადმოიცეს ია-თი: Иашвили, Иамანიძე, Ианкошвили... (და არა: Яшвили, Ямანიძე, Янкошвили, როგორც ეს დღესდღეობით უპირატესი ხმარებისა).

ამის გარდა, არის მთელი რიგი ქართული გვარები, რომლებიც რუსულად, ჩვენი აზრით, მცდარი დაწერილობით არის გავრცელებული, ან გვაქვს ვარიანტები — მართებულიცა და მცდარიც⁵.

ე — ე თუ ე — ა?

როგორც ცნობილია, ქართული ე-ს შესატყვისი რუსულში უპირატესად არის ა (და არა ე) და ქართული საკუთარი სახელები, რომლებიც ე-თი იწყება, რუსულში გადადის ა-ს მეშვეობით. მაგ., ევა — Эка (მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი არას ევატერიხე-ს შემოკლება, ხოლო ეს უკანასკნელი კი რუსულად არის Екатерина), ელიკა — Элико (შდრ. სრული სახელი ელენე — Елена)... ასევე, ე-თი დაწყებული გვარების დიდი უმეტესობა: Эгнаташвили, Эристави, Элиава, Эдигერიძე, Эдиглашვილი და ა. შ.

⁴ А. В. Суперанская, Склонение собственных имен в современном русском языке: в сб.: «Орфография собственных имен», М., 1965; Л. П. Калакуцкая, Склонение фамилий и личных имен в русском литературном языке, М., 1984, с. 86, 88—89.

⁵ მასალები ძირითადად ამოკრიბეთ „ქ. თბილისის ბნის ტელეფონების სი-იდან“, რომელიც რუსულად არის გამოქვეყნებული 1982 წელს, და ცნობილიდან „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“ (ქართულ-რუსული), 1984 წ.

ა-თია გადასული რუსულში აგრეთვე ისეთი გვარები, რომელთა პირველი ნაწილი უცხო წარმოშობის სახელს წარმოადგენს. ასეთი სახელი, ზოგჯერ სახეცვლილი, რუსულშიც არის შესული, მაგრამ ქართული გვარი მინც ა-თი იწერება; მაგ., **Эквимишвили** (შდრ. სახელი **ექვთიმე — Евфимий**), **Элисабდაшвили** (შდრ. **ელისაბედ**-ის რუსული შესატყვისი **Елизавета**), **Элошвили** (შდრ. **Елена — ელენე**, რომლისაგანაც არის მიღებული **ელო**) და სხვ.

მაგრამ მთელი რიგი გვარები, რომლებიც ამ წესით უნდა ყოფილიყო რუსულად გადმოცემული, სინამდვილეში e-თი იწყება. ეს უკანასკნელი კი არ არის e-ს შესატყვისი ბგერა (განსაკუთრებით, სიტყვის თავში). e, რუსულისათვის სპეციფიკური ბგერა, გამოითქმის არა როგორც [ე], არამედ როგორც [აე]. მიუხედავად ამისა, e-თი დაწყებული გვარები რუსულში გადასულა e-თი: **Евгенидзе**, **Евტიმიшвили** (შდრ. სწორად გადმოცემული **ზემიმოყვანილი** **Эквимишвили**), **Елизარაშვილი** (შდრ. **Элиზбарაშვილი**), **Енуკიძე** (**Енуკიშვილი**, **Енуკაშვილი**). ამ გვარებს უნდა დავუმატოთ ქართველი მწერლის იროდიონ ხოსიტაშვილის ფსევდონიმი **ევდოშვილი**, რომელიც **Евдошвили**-ს სახით არის შესული რუსულში.

მსგავსა გვარებს e-თი დამკვიდრებაზე ვავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მათი შემადგენელი პირველი ფუძეები რუსულში გვხვდება და იწერება (და გამოითქმის) როგორც e [აე]. შდრ.: **Евгений**, **Евфимий**, **Елизар**, **Елизавета**, **Евдокия**... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული გვარი მთლიანად კი არ არის გააზრებული, არამედ მის პირველ ნაწილად (რომელიც საერთოა რუსულთან) აღებულია რუსული ფუძე. ამიტომაც, რომ გვაქვს **Елизარაშვილი**, მაგრამ: **Элиზбарაშვილი**. ეს ერთმანეთთან ისე აქლოს მდგომი ფუძეებია, რომ ითიქის რუსულში ერთნაირად უნდა ყოფილიყო გადმოცემული, მაგრამ სახელი **ელიზარ-ი** (**Елизар**) რუსულ ონომასტიკაში ცნობილია, ხოლო **ელიზარ-ი** (**Элизар**) უცხოა მისთვის.

e-თია შესული ზოგი სხვა ისეთი გვარც, რომელთა ფუძეს არა აქვს შესატყვისი რუსულში: **Ерკომაიშვილი**, **Еზიაშვილი**, **Елиაშვილი**, **Елигуლაშვილი**, **Ергემიძე**, **Ереმაშვილი**, **Есаიშვილი** და სხვ.

როგორც ვთქვით, e-ს შესატყვისია ა და არა e; ამიტომ ქართული გვარები, რომლებიც e-თი იწყება, რუსულად უნდა გადმოიცემოდეს a-ს მეშვეობით: **Эвგენიძე**, **Эвტიმიშვილი**, **Эзикаშვილი**, **Элизარაშვილი**, **Элисаბდაშვილი**, **Энуკიძე**, **Эრკომაიშვილი**, **Эвдоშვილი** და ა. შ.

აი—ай თუ აი, ეი—ей თუ ეი,

ოი—ой თუ იი, უი—уй თუ უი?

-შვილ-ის შემკველი გვარებს ერთი წყების პირველი ნაწილის დაბოლოებაა აი, ეი, იი და უი: **ზენაიშვილი**, **კვიტაიშვილი**, **ხახუტაი-**

შვილი, შოშიტაიშვილი, თავამაიშვილი... ბიბილეიშვილი, გიგინეიშვილი, ბელანეიშვილი... გოიშვილი, კაკიიშვილი... ბუიშვილი, უიშვილი (ეგნ. ნინოშვილის მოთხრობის პერსონაჟის გვარი)...

დღესდღეობით ასეთი გვარების რუხულ დაწერილობაში არ არის ერთგვარობა; მათი ერთი წყება **აი, ეი, იი, უი** დიფთონგებით არის დამკვიდრებული (Квитайшвили, Шопитайшвили, Бибилейшвили, Закарейшвили...). ასეთი გვარებს მეორე წყება გვხვდება როგორც **ანი, ენი, ინი** და **უნი, ისე აი, ეი, იი და უი-ს** საშუალებით გადასული (Зенаншвили და Зенаიшვილი, Бибилсишვილი და Бибилსეიშვილი, Гигინეიშვილი და Гигინეიშვილი, Какониშვილი და Какоиშვილი, Уიშვილი და Уიშვილი...⁶

გოიშვილი მხოლოდ **იი-თ** და გადასტურეთ (Гოიშვილი), ხოლო ბუიშვილი—მხოლოდ **უი-თ** (Бუიშვილი).

ქართულში დიფთონგები არ არის და, კერძოდ, ამ ტიპის გვარებში სრული მარცვლებია: ...**ა-ი-შვილი, ე-ი-შვილი, ი-ი-შვილი, უ-ი-შვილი**. რუსულში მათი დიფთონგებად ქცევა გამართლებული არ არის. თუ გვინდა ასეთი გვარები ადეკვატურად იყოს გადმოცემული, რეკომენდაცია უნდა მიეცემა მათში ორ-ორი სრული ხმოვნის (ე. ი. ორი მარცვლის) დატოვებას⁷.

ცალკეული გვარების ფუძემოც გვხვდება **ა-ი, ე-ი, ი-ი, უ-ი** მარცვლები: ზოგი ამ ტიპის გვარი სწორად არის შესული რუხულში; მაგ., Мансашვილი, Джаниани, Буинглишვილი (ბუილიშვილი)...; სხვები **აი, ეი**... დიფთონგებით არის დამკვიდრებული: Майсурадზე, Шайшмелაშვილი, Пейკრიшვილი (ფეიქრიშვილი), Джейранишვილი... **აზმაიფარაშვილი** გვხვდება ორივეგვარი დაწერლობით: Азмаипарашვილი და Азмай-парашვილი. ყველა ასეთი გვარი სრული მარცვლებით უნდა იწერებოდეს (Мансурадზე, Шайшмелაშვილი, Пейკრიшვილი, Джейранишვილი...).

ფ—ფ თუ პ? ფხ—ნх თუ пх?

ქართულ **ფ-ს** რუსულში შეესატყვისება **п** და ამიტომ ამ ბგერის შემცველი გვარების უმეტესობა სწორად, **п-თაა** გადმოცემული: ფირცხალავა — Пирцхалава, ფაღავა — Пагава, ფარცვანია — Парцванна, ფრანგიშვილი — Франгишвили, ფერაძე — Перадзе, ფოჩხუა — Почхуа,

⁶ „გოგია უიშვილის“ რამდენიმე თარგმანიდან უმეტესობაში მთავარი პერსონაჟის გვარი სწორადაა გადატანილი: Уიშვილი. ერთი მათგანის რამდენსამე გამოცემაში ხან Уიშვილი-ა, ხან—Уიშვილი.

⁷ „შვილ-ის გარდა -ძე-ს წინაც გვხვდება **აი, ეი, იი, უი** დაბოლოების ნქონე ფუძეები, მაგრამ, ეტყობა, იმის ვაშთ, რომ ეს ჰვეფი მოდის ბოლოდან მეორე (და არა მესამე, როგორც ეს -შვილ-ის წინაა) მარცვლად, დიფთონგად არ არის ქცეული: Обгаიძე, Невдზე, Гагонძე, Пруიძე...

ფუტკარაძე—Путкарадзе, სოფრომაძე—Сопромадзе, ჯაფარიძე — Джапаридзе, ლაფაური—Лапаური, ლაფაჩი—Лапачი და ბევრი სხვა.

მაგრამ არის თითო-ორიოლა გამონაკლისი: Ефреმიძე და Ефреმაშვილი (მღრ. რუს. Ефрем და აქედან გვარი Ефрема).

ერთი გვარი ფრიდონიშვილი შეგვხვდა ორგვარი დაწერილობით: სწორით (Придонишვილი) და მცდარით (Фридонишვილი).

ფ — ფ-ს არა აქვს გამართლება და ეს სამი გვარიც უნდა იწერებოდეს *п*-თი: Эпреმიძე, Эпреმაშვილი⁸ და Придонишვილი.

ამ კონტექსტში უნდა მოვიგონოთ გეოგრაფიული სახელებიც: ფოთი—Поти, უფლისციხე—Уплисцихе და მისიანები. ერთადერთი ზესტაფონი არის მცდარად, *ფ*-თი დამკვიდრებული: Зестаფონი (წესის მიხედვით უნდა იყოს: Зестапони; მღრ., მაგალითად, Поничала და არა Фопичала). მაგრამ, ეტყობა, ამის შეცვლა, გასწორება ახლა გაძნელებია.

გვარები აფხაზავე, აფხაზიშვილი, აფხაძე, ისევე როგორც ფრიდონიშვილი, რუსულში ორგვარი დაწერილობით გვხვდება: Абхазава, Абхаидзе, Абхაзишვილი და Апхазава, Апхаидзе, Апхაзишვილი: პირველ შემთხვევაში აქაც ზეგაუგუნას ახდენს ის, რომ აფხაზ-ფუძე რუსულში *абхаз* სახით არის დამკვიდრებული.

უარი უნდა გაქვათ *бх* კომპლექსზე და მხოლოდ *пх*-ს საშუალებით უნდა გადმოეცეთ ამ ფუძის შემცველი გვარები: Апхაзи, Апхაзишვილი და ა. შ.

გიორგი სახელისაგან მიღებული გვარები

საქართველოში გავრცელებულია რამდენიმე გვარი, რომელთა პირველი (ძირითადი) ნაწილია სახელი გიორგი ან მისგან ნაწარმოები სხვა რომელიმე სახელი. ასეთებია: გიორგაძე, გიორგიძე, გიორგაშვილი, გიორგაია, გიორგობიანი, გიორგანაშვილი, გიორგბერიძე (აგრეთვე გიორბელიძე, რომელიც გიორგბერიძის ვარიანტი ჩანს), გიორხელიძე.

რუსულად გვხვდება როგორც Гиоргадзе, Гиоргобиანი, Гиорхелиძე, Гиорбелиძე (სწორად), ასევე Георгадзе, Георгобиანი, Георхелиძე, Георгбериძე (მცდარად). სხვა გვარებიდან მხოლოდ მართებულიად არის დადასტურებული Гиорганаშვილი, ხოლო მცდარად—Георгашვილი, Георгидзе, Георгая.

რა თქმა უნდა, გიორგაძის რუსულში Георгадзе-დ სახეცვლილება კვლავ და კვლავ იმის გამო ხდება, რომ ქართულ გიორგი-ს (ამ გვარის პირველ ფუძეს) რუსულში შეესაბამება Георгий.

⁸ Эпреმიძე, Эпреმაშვილი, და არა Ефреმიძე, Ефреმაშვილი (ამს შესახებ იხ. ზემოთ).

ამავე მიზეზის გამოა შემოპოყვანილ სხვა გვარებში **ე**-ს გაჩენა. პარალელური ფორმები: **გიორგადზე**, **გიორგობიანი** და მისთანები სწორად გააზრების შედეგად არის დამკვიდრებული.

ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ქართულ გვარებში **გიორგ**- ფუძე ყველგან შეიცვალოს **გიორგ**- ფუძით.

ლორთქიფანიძე—**ლორქიპანიძე**?

ნიშანდობლივია, რომ ამ გვარში **თქ ტკ**-ს სახით გადმოცემული რუსულში **ლორქიპანიძე**-დ დამკვიდრება. ქართულ **თ**-ს რუსულში ყველა ვითარებაში შეესაბამება **т** და მას **к**-ს მეზობლობა არ უნდა უშლიდეს ხელს ქართული ბგერის გადმოცემაში. **თქ**-მ უნდა მოგვეცეს **ტკ**.

ნიშანდობლივია, რომ ამ გვარში **თქ ტკ**-ს სახით გადმოცემული შეგვხვდა ერთხელ გაზეთ „Молодежь Грузии“-ში. მაშასადამე, პრეცედენტი არის. ახლა მისი საყოველთაოდ გავრცელებაა საჭირო.

თვითონ **ლორთქიფანიძე**ებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა თავიანთი გვარის რუსულში სწორად (**ლორქიპანიძე**) დამკვიდრებაში.